

საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად
საქართველოს პარლამენტისათვის წარსადგენი სამოსამართლო გამოცდილების არმქონე
მოსამართლეობის კანდიდატის შეფასების ფორმა

თამარ აღმაშენების

მოსამართლეობის კანდიდატის ————— შეფასება:

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით			
მოსამართლეობის კანდიდატი არ აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს		<input type="checkbox"/>	
მოსამართლეობის კანდიდატი აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს		<input type="checkbox"/>	
მოსამართლეობის კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს		<input checked="" type="checkbox"/>	
მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით			
კრიტერიუმი	მიღებული ქულა	მაქსიმალური ქულა	
სამართლის ნორმების ცოდნა	4	25	
სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია	23	25	
წერისა და ზეპირი კომუნიკაციის უნარი	18	20	
პროფესიული თვისებები	13	15	
აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა	9	10	
პროფესიული აქტივობა	4	5	
ქულათა ჯამი	71	100	

სახელი, გვარი: ლევანი თევზაძე

თარიღი : 22.07.2024



საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი ლევანი თევზაძე

2024 წლის 22 ივნისი

თბილისი

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2024 წლის 30 მაისის №1/47 განკარგულებით დაწყებულ, საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატთა შესარჩევ პროცედურაში მონაწილე კანდიდატის - **თამარ ალფაიძის**

შეფასება

1. პროცედურის შესახებ:

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2024 წლის 30 მაისის №1/47 განკარგულებით, დაიწყო საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატის შესარჩევი პროცედურა, უზენაესი სასამართლოს მოსამართლის ერთ ვაკანტურ თანამდებობაზე მოსამართლეობის კანდიდატთა შესარჩევად.

მითითებულ პროცედურაში კანდიდატად დარეგისტრირდა **თამარ ალფაიძე**.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს შესაბამისმა სამსახურშა, „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 34¹ მუხლით დადგენილი წესით, მოიპოვა ინფორმაცია კანდიდატის შესახებ, რომელსაც გავიცანი დეტალურად.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 34¹ მუხლის მე-8 და მე-10 პუნქტებით დადგენილი წესით, 2024 წლის 17 ივნისს, ჩატარდა კანდიდატის საჯარო მოსმენა.

საჯარო მოსმენის დასრულების შემდეგ, „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 34¹ მუხლის მე-11 პუნქტით დადგენილი წესით, კანდიდატი, როგორც სამოსამართლო გამოცდილების არმქონე, შევაფასე - „საერთო

სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 35¹ მუხლის მე-15 და მე-16 პუნქტების შესაბამისად.

2. ინფორმაცია კანდიდატის შესახებ:

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს შესაბამისი სამსახურის მიერ მოჰყვებული ინფორმაცია:

კანდიდატი 45 წლისაა. აქვს უმაღლესი იურიდიული განათლება (სამართლის დოქტორი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი). სპეციალობით მუშაობს 24 წელზე მეტია, კერძოდ:

- 2000-2005 წლებში იყო სამართლის თეორიისა და კონსტიტუციური სამართლის კათედრის ლაბორანტი (თსუ);
- 2005-2007 წლებში იყო ასოცირებული პროფესორი კავკასიის უნივერსიტეტში, ასევე მაგისტრატურის დეპარტამენტის უფროსი;
- 2006-2009 წლებში იყო ასოცირებული პროფესორი საქართველოს უნივერსიტეტში;
- 2009-2015 წლებში იყო ასოცირებული პროფესორი გრიგოლ რობაქიძის უნივერსიტეტში;
- 2016-2023 წლებში იყო პროფესორი საქართველოს ეროვნულ უნივერსიტეტში;
- 2023 წლიდან დღემდე არის კავკასიის სამართლის სკოლის ასოცირებული პროფესორი;
- 2022 წლიდან დღემდე არის მედიისა და ტელესულოვნების კოლეჯის მასწავლებელი თსუ-ში.

კანდიდატის შესახებ წარმოდგენილია რეკომენდაციები, რომლებშიც რეკომენდატორები გამოთქვამენ მოსაზრებებს კანდიდატის კეთილსინდისიერებასა და კომპეტენტურობაზე, გამოარჩევენ კანდიდატის თავისუფალი აზროვნების უნარს, დამოუკიდებლობას, პრინციპულობას, კომუნიკაციურობას, სამართლიანობის გამძაფრებულ აღქმას, ლიდერულ თვისებებს და მისწრაფებებს, კრიტიკულ აზროვნებას. ერთ-ერთი რეკომენდატორი უშვებს მიკერძოებულობის შესაძლებლობას, ამასთან, განმარტავს, რომ კანდიდატ თამარ ალფაიმეს პირად ურთიერთობებში, გარკვეულწილად, შეუძლია მორალური პრინციპების დაცვა, თუმცა მან ვერ შეძლო ნდობის მოპოვება, რადგან პიროვნული თვისებების გამოვლენაში არ არის თანმიმდევრული და საიშედო. ერთ-ერთი რეკომენდატორი

კანდიდატის სისუსტეებად და ნაკლოვანებებად უთითებს გადაჭარბებულ ამბიციას და ზედმეტი გართობას.

რაც შეეხება კითხვარებს, გამოკითხული რესპონდენტებიდან ერთი რესპონდენტი კანდიდატის პირად თვისებებს არ იცნობს კარგად, ხოლო მის პროფესიულ კვალიფიკაციას იცნობს საშუალოდ. მეორე რესპონდენტი კადიდატის პირად თვისებებს იცნობს საშუალოდ, ხოლო პროფესიულ კვალიფიკაციას - კარგად. ერთი რესპონდენტის აზრით, კანდიდატი აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს, მეორე გამოკითხული რესპონდენტი მიუთითებს, რომ კანდიდატი ზოგიერთ შემთხვევაში აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს, ხოლო ერთ შემთხვევაში უჭირს შეფასება. კომპეტენტურობის კრიტერიუმით ერთი რესპონდენტი კანდიდატს, ზოგიერთ შემთხვევაში, აფასებს კარგად ან ძალიან კარგად, ხოლო ზოგიერთ შემთხვევაში - უჭირს შეფასება. მეორე რესპონდენტი კი აფასებს ძალიან კარგად ან კარგად, ერთ შემთხვევაში - მინიმალურად.

კანდიდატის შესახებ ინტერნეტ სივრცეში ხელმისაწვდომია სხვადასხვა სახის ინფორმაცია. მათ შორის, არის ცნობა მისი პოლიტიკური საქმიანობის, ასევე - ცესკოს, პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის უფროსის, სემეკის, კომუნიკაციების მარეგულირებელი კომისიის, საზოგადოებრივი მაუწყებლის სამეურვეო საბჭოსა და საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლუობის კანდიდატობის შესახებ. კანდიდატი სარგებლობს სოციალური ქსელებით. იგი არ ყოფილა არც ერთი პოლიტიკური პარტიის წევრი / მხარდამჭერი / შემომწირველი. 2019 წლის შუალედურ არჩევნებში იყო დამოუკიდებელი კანდიდატი მთაწმინდის რაიონის მაჟორიტარი დეპუტატობისათვის.

კანდიდატის სახელმწიფო ბიუჯეტის მიმართ არ ერიცხება დავალიანება; არ აქვს მიმდინარე სესხი, აქვს დადებითი საკრედიტო ისტორია. კანდიდატის ეკუთვნის მიწის ნაკვეთი 2849 მ² ფართით, მდებარე ვანის მუნიციპალიტეტში, სოფელ ფერეთაში. უძრავი ქონების რეესტრში არსებული ინფორმაცია შესაბამისობაშია მის მიერ წარმოდგენილ ქონებრივი მდგრამარეობის დეკლარაციასთან.

ბოლო სამი წლის განმავლობაში, კანდიდატი 16 შემთხვევაში იქნა დაჯარიმებული ადმინისტრაციულ სამართალდარღვევების (საგზაო მოძრაობის წესების დარღვევა) ჩადენისათვის, ჯარიმები გადახდილია დროულად. ასევე - 6 შემთხვევაში დაჯარიმებულია ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს მიერ შედგენილი ადმინისტრაციული სამართალდარღვევების ჩადენისათვის, აღნიშნული ჯარიმები ასევე გადახდილია დროულად.

კანდიდატი მხარედ მონაწილეობდა ორ დასრულებულ სამოქალაქო კატეგორიის საქმეში, კერძოდ:

1) მოსარჩელე იყო სს „ბანკი რესპუბლიკა“, მოპასუხე - თამარ ალფაიძე, დავის საგანი: ხელშეკრულების შეწყვეტა, ფულადი ვალდებულების შესრულება; თბილისის საქალაქო სასამართლო;

2) მოსარჩელე იყო სსიპ „ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო“, მოპასუხე - თამარ ალფაიძე, დავის საგანი: ვალდებულებების შეუსრულებლობის შედეგად ფულადი თანხის დავისრება; თბილისის საქალაქო სასამართლო.

ასევე - კანდიდატი დაზარალებულად იყო ცნობილი სისხლის სამართლის ერთ საქმეზე.

კანდიდატმა წარმოადგინა შემდეგი სამართლებრივი სტატიები:

- „მასმედია და სახელმწიფო ხელისუფლება“;
- „სამართლისა და მორალის ეფოლუცია“;
- „პუმანური სამართალი“;
- „ინტერნეტი და მისი სამართლებრივი რეგულირება“.

კანდიდატს შონაშიღეობა აქვს მიღებული რიგ სასწავლო ღონისძიებებში (მაგ: JUSTICE - ჰარვარდის უნივერსიტეტი - 2014, International Human Rights – 2014, Leaders of Learning - Harvard University 2014, ტრენინგი - AI Regulation A Micro Course for Lawers 2021 და ა.შ.).

კანდიდატს არ აქვს ჩაბარებული მოსამართლეობის ან პროცესუატურის მუშავთა საკვალიფიკაციო გამოცდა, არც ადვოკატთა ტესტირება აქვს გავლილი.

კანდიდატი ეწევა პედაგოგიურ საქმიანობას .

კანდიდატს, საკუთარი ავტორობით/თანაავტორობით, გამოქვეყნებული აქვს სამართლებრივი სტატიები/წიგნები:

- „მასობრივი ინფორმაციის სამუალებების საქმიანობის სამართლებრივი ასპექტები“; თსუ, 2006 წელი;
- „მედია სამართალი“; 2008 წელი;
- „შესავალი სამართალმცოდნეობაში“; 2009 წელი;
- „სამართალმცოდნეობის შესავალი“ (მეორე გამოცემა); 2015 წელი;

კანდიდატი ფლობს ინგლისურ, ესპანურ და რუსულ ენებს.

3. კანდიდატის საჯარო მოსმენის შედეგად მოპოვებული ინფორმაცია:

კანდიდატის საჯარო მოსმენის სრული ვიდეო-ჩანაწერი ყველასათვის ხელმისაწვდომია (იხ: <https://www.youtube.com/watch?v=-0mlZYigYy4>). მას საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრებმა დაუსვეს როგორც ზოგადი, ისე - სამართლებრივი შეკითხვები, სამართლის სხვადასხვა დარგიდან, თუმცა მან უარი განაცხადა შეკითხვებზე პასუხის გაცემისაგან (მხოლოდ ერთეულ შემთხვევაში უპასუხა, ისიც არასრულად).

4. კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით:

კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით ნებისმიერი კანდიდატის შეფასებისას, მოქმედებს პრეზუმაცია, რომ კანდიდატი არის კეთილსინდისიერი, ე.ი. - აკმაყოფილებს „საერთო სასამართლოების შესახებ“ ორგანული კანონის 35¹ მუხლის მე 2 პუნქტით გათვალისწინებული ოთხივე მახასიათებლის (სამოსამართლო გამოცდილების არმქონე კანდიდატისათვის): ა) პიროვნული კეთილსინდისიერება და პროფესიული სინდისი, ბ) დამოუკიდებლობა, მიუკერძოებლობა და სამართლიანობა, გ) პიროვნული და პროფესიული ქცევა და დ) პიროვნული და პროფესიული რეპუტაცია - მოთხოვნებს, თუ წარმოდგენილი არ არის ამ პრეზუმაციის გამაქარწყლებული, სანდო ინფორმაცია.

კანდიდატის შესახებ დოკუმენტური, ასევე - მისი საჯარო მოსმენის შედეგად მოპოვებული ინფორმაციის (იხ: ამ შეფასების მე-2 პუნქტი) ანალიზიდან გამომდინარე, გაირკვა:

ბოლო სამი წლის განშავლობაში ადმინისტრაციულ სამართალდარღვევებზე პასუხისმგებლობის დამდგენი კანონმდებლობით გათვალისწინებული 22 სამართალდარღვევის ჩადენა ადასტურებს, რომ „კანდიდატს“, როგორც მოქალაქეს, არ აქვს მოვალეობებისა და პასუხისმგებლობის შესაბამისი შეგნება. თუმცა, „კანონის“ 35¹ მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული მახასიათებელი - „პიროვნული კეთილსინდისიერება და პროფესიული სინდისი“, იმავე მუხლის მე-4 პუნქტით განსაზღვრული განმარტებების თანახმად, ბევრ სხვა კომპონენტსაც (პატიოსნება, კეთილსინდისიერება, გამჭვირვალობა, კორექტულობა და სიზუსტე სამსახურებრივი ან სხვა მოვალეობების, ფინანსური ან სხვა ვალდებულებების შესრულებისას (მაგალითად, თანამდებობის პირის ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციის შევსებისას, ბანკის ან სხვა ვალის, კომუნალური ან სხვა გადასახადის, საგზაო მომრაობის წესების დარღვევისთვის ჯარიმის გადახდისას) და სხვა) მოიცავს.

ვინაიდან სხვა ინფორმაცია, რომელიც გააქარწყლებდა პრეზუმიციას, რომ „კანდიდატი“ აკმაყოფილებს ყველა ამ კომპონენტს, არ გამაჩნია.

შესაბამისად, მივიჩნიე, რომ კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს ორგანული კანონის 35¹ მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული „პიროვნული კეთილსინდისიერებისა და პროფესიული სინდისის“ მახასიათებელს.

კანდიდატი არის პრინციპული, შეუძლია დამოუკიდებლად მიიღოს გადაწყვეტილება, აქვს ზეგავლენის მიმართ მედეგობა და პიროვნული სიმტკიცი, შეუვალობა, მიუკერძოებელია პოლიტიკური ან სხვა ნიშნით, ასევე - სამართლიანია.

შესაბამისად მივიჩნიე, რომ კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს ორგანული კანონის 35¹ მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული „დამოუკიდებლობის, მიუკერძოებლობისა და სამართლიანობის“ მახასიათებელს.

კანდიდატი კორექტულია კოლეგებთან და სხვა პირებთან ურთიერთობისას, არის თავდაჭერილი, იცავს ეთიკას. ამდენად, ყველა შესაძლო პროცედურის (დისციპლინური, სისხლის ან სხვაგვარი სამართალწარმოება) დროს, კანდიდატის ქვევა იქნება სათანადო, შექმნილი ფაქტობრივი/სამართლებრივი რეალობის ადეკვატური.

შესაბამისად, მივიჩნიე, რომ კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს ორგანული კანონის 35¹ მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული „პიროვნული და პროფესიული ქცევის“ მახასიათებელს.

კანდიდატს აქვს საქმიანი რეპუტაცია/ავტორიტეტი იურიდიულ წრეებში; ამ დასკვნის გამაქარწყლებელი, ასევე - მოსამართლის სტატუსთან შეუთავსებელი ურთიერთობების შესახებ ობიექტური ინფორმაცია ან არგუმენტირებული მოსაზრება ჩემთვის უცნობია.

შესაბამისად, მივიჩნიე, რომ კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს ორგანული კანონის 35¹ მუხლის მე-2 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული „პიროვნული და პროფესიული რეპუტაციის“ მახასიათებელს.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ვინაიდან მივიჩნიე, რომ კანდიდატი კეთილსინდისიერების კრიტერიუმის ოთხივე მახასიათებელს აკმაყოფილებს, ორგანული კანონის 35¹ მუხლის მე-15 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით საფუძველზე მივედი იმ დასკვნამდე, რომ **კანდიდატი თამარ ალფაიძე სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს.**

5. კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით:

კანდიდატის შესახებ დოკუმენტური, ასევე - მისი საჯარო მოსმენის შედეგად მოპოვებული ინფორმაციის (იხ: ამ შეფასების მე-3 პუნქტი) ანალიზიდან გამომდინარე, გაირკვა:

კანდიდატის საჯარო მოსმენისას კითხვებზე პასუხის გაცემისაგან თავის არიდების გათვალისწინებით, ორგანული კანონის 35¹ მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული „სამართლის ნორმების ცოდნის“ მახასიათებლის მიხედვით, **შეფასება 4 ქულით (მაქსიმალური - 25);**

კანდიდატს გააჩნია ანალიზიკური აზროვნების უნარი და აკადემიურ სფეროში მუშაობის სათანადო გამოცდილებაც (კანდიდატს არ აქვს სასამართლო სისტემაში მუშაობის გამოცდილება). კანდიდატის მიერ შესრულებული ნაშრომების გაანალიზებით დგინდება, რომ კანდიდატი ხანდახან იყენებს რთულ წინადადებებს, რაც, გადმოცემული აზრის სათანადოდ აღქმას აძრელებს.

აღნიშნული გარემოებების (ხარვეზის) გათვალისწინებით, მივიჩნიე, რომ კანდიდატი, ორგანული კანონის 35¹ მუხლის მე-3 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული „სამართლებრივი დასაბუთების უნარის და კომპეტენციის“ მახასიათებლის მიხედვით უნდა შეფასდეს **23 ქულით (მაქსიმალური - 25 ქულა);**

კანდიდატი გამართულად მეტყველებს, ღიაა და სხვის აზრს (მათ შორის - განსხვავებულს) ისმენს მოთმინებით. კანდიდატის ნაშრომების შესწავლით დავადგინე, რომ კანდიდატის მსჯელობა ძირითადად ლოგიკური და ანალიტიკურია, თუმცა - ზოგჯერ უშევებს პუნქტუაციურ შეცდომებს, რაც აზრის ნათლად და გასაგებად გადმოცემას გარკვეულწილად აფერხებს.

აღნიშნული გარემოებების (ხარვეზის) გათვალისწინებით, მივიჩნიე, რომ კანდიდატი, ორგანული კანონის 35¹ მუხლის მე-3 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული „წერისა და ზეპირი კომუნიკაციის უნარის“ მახასიათებლის მიხედვით უნდა შეფასდეს **18 ქულით, (მაქსიმალური - 20 ქულა);**

კანდიდატი პუნქტუალური, გულმოდგინე, შრომისმოყვარე და მიზანდასახულია. თუმცა, იმის გამო, რომ მას არ აქვს მოსამართლედ ან სასამართლო სისტემაში მუშაობის რაიმე გამოცდილება, შეუძლებელია მიხვიდე იმ დასკვნამდე, რომ მას აქვს სათანადო შენეჯერული უნარები - იმუშაოს სტრუქტურის სიტუაციაში და გაუმჯობეს მოსამართლის რთული საქმიანობისთვის დამახასიათებელ გამოწვევებს.

აღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით, მივიჩნიე, რომ კანდიდატი, ორგანული კანონის 35¹ მუხლის მე-3 პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული „პროფესიული თვისებების“ მახასიათებლის მიხედვით უნდა შეფასდეს **13 ქულით (მაქსიმალური 15 ქულა);**

კანდიდატი პროფესიული წვრთნის პროგრამებში ხშირად მონაწილეობს; მას გააჩნია სათანადო ინტერესი ახალი ცოდნისა და უნარების შეძენაზე, ზრუნავს თვითგანვითარებაზე, აქვს შესაბამისი საოფისე კულტურა და შეძენილ ცოდნას წარმატებით იყენებს პრაქტიკაში. (არ აქვს ჩაბარებული არცერთი პროფესიული მოსამართლეობის/პროკურატური/ადვოკატურის გამოცდა/ტესტირება).

აღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით, მივიჩნიე, რომ კანდიდატი, ორგანული კანონის 35¹ მუხლის მე-3 პუნქტის „თ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული აკადემიური მიღწეულების და პროფესიული წვრთნის“ მახასიათებლის მიხედვით უნდა შეფასდეს **9 ქულით (მაქსიმალური 10 ქულა)**.

კანდიდატი პრაქტიკულად არ მონაწილეობს სამართლებრივი სისტემისა და მართლმსაჯულების საკითხებზე სხვადასხვა ფორმატის დისკუსიებში, შესვედრებსა და სემინარებში, სადაც საკუთარ პოზიციას (მეხედულებებს) გამოხატავდა ღიად და თავისუფლად. ამასთან, ეწევა პედაგოგიურ საქმიანობას.

აღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით, მიმაჩნია, რომ კანდიდატი, ორგანული კანონის 35¹ მუხლის მე-3 პუნქტის „ი“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული პროფესიული აქტივობის“ მახასიათებლის მიხედვით უნდა შეფასდეს **4 ქულით (მაქსიმალური 5 ქულა)**.

აღნიშნულიდან გამომდინარე კომიტეტურობის კრიტერიუმის მიხედვით,
საერთო ჯამში, კანდიდატს ვანიჭებ 71 ქულას.

ლუკა მელაშვილი